დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის
დირექტორის 2018 წლის 12 ივნისის
№ 54 ბრძანებით

მოდიფიცირებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის
დირექტორის 2025 წლის 18 მარტის
N 58 ბრძანებით

სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

სავაგონო მეურნეობა

პროგრამის ხელმძღვანელი: ნათია სვანიძე

საკონტაქტო ინფორმაცია: ელ ფოსტა: info.rtc.2016@gmail.com
ტელ.: 032 2 205 424

თბილისი
2025 წ.

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე** - სავაგონო მეურნეობა; Railway Car Maintenance

2. **სარეგისტრაციო ნომერი-** 07117-3

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე** - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარკინიგზო ძრავიან ტრანსპორტში/ Secondary Vocational Qualification in Rail Motor vehicles (კვალიფიკაციის კოდი - 0716)

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს: ,,ძრავიანი ტრანსპორტი, გემები და საფრენი აპარატები", კოდი 0716, აღმწერი - ,,შეისწავლის ძრავიანი ტრანსპორტის (მ.შ. დედამიწაზე მოძრავი მანქანები და სასოფლო - სამეურნეო მანქანები, გემები, მატარებლები, საჰაერო ხომალდები) დაპროექტებას, განვითარებას, წარმოებას, ექსპლუატაციას, ხარვეზების დიაგნოსტიკას, რემონტსა და მომსახურებას. ამ სფეროსთვის ჩვეულებრივია ლითონის სტრუქტურისა და ძრავების შესწავლის კომბინირება."

4. მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს სავაგონო მეურნეობის სპეციალისტები სარკინიგზო ინდუსტრიის მოთხოვნათა შესაბამისად.

5. დაშვების წინაპირობა

- სრული ზოგადი განათლება
- საბაზო განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **,,სავაგონო მეურნეობა"** გავლის შემდეგ - ნებისმიერ სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციაში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იქნება სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტის მომსახურებასთან. კერძოდ, რკინიგზაში, მეტროპოლიტენში და ვაგონ მშენებელ ქარხანებში.

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCO შესაბამისი კოდები: ნაწილობრივ 8312, 7421.

7. სტრუქტურა და მოდულები

არაინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის:

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 5 ზოგად მოდულს 15 კრედიტის ოდენობით; 8 საერთო პროფესიულ მოდულს 25 კრედიტის ოდენობით, 7 კონცენტრაციის მოდულს 50 კრედიტის ოდენობით

კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 90 კრედიტი, სწავლების სწავლის ხანგრძლივობა 24 თვე.*

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს

---

* **პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება სასწავლო კვირების მიხედვით. თითოეული სასწავლო ჯგუფის სწავლის დაწყების და დასრულების თარიღი დგინდება კალენდარული გრაფიკის მიხედვით, 2 კვირა საშობაო, 1 კვირა სააღდგომო, 4 კვირა საზაფხულო არდადეგების და არსებული კანონმდებლობით განსაზღვრული უქმეების გათვალისწინებით.**

„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების 24 მუხლით დამტკიცებული გარდამავალი დებულებით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 90კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 24 თვე;
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 120 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 29 თვე.

ქართული ენის მოდულები		
№	**მოდულის დასახელება**	**კრედ.**
01	ქართული ენა A2	**15**
02	ქართული ენა B1	**15**
ზოგადი მოდულები		
მოდულის დასახელება		**კრედ.**
1.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
2.	უცხოური ენა (ინგლისური ენა)	5
3.	მეწარმეობა 2	2
4.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
5.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
სულ		**15**
საერთო პროფესიული მოდულები		
	მოდულის დასახელება	**კრედ.**
6.	საინჟინრო გრაფიკა	3
7.	მასალათმცოდნეობის საფუძვლები	3
8.	რკინიგზების ზოგადი კურსი	3
9.	ზოგადი ელექტროტექნიკა	3
10.	სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	6
11.	საზეინკლო ოპერაციების შესრულება	2
12.	გაცნობითი პრაქტიკა - სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტში	2
13.	მეტროლოგია	3
სულ		**25**
სავაგონო მეურნეობა- კონცენტრაციის მოდულები		
№	**მოდულის დასახელება**	**კრედ.**
14.	რეფრიჟერატორული მოძრავი შემადგენლობის შემოწმება-შეკეთება	7
15.	სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმება-შეკეთება	8
16.	სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმება-შეკეთება	8
17.	ვაგონის ძარის და დამრტყმელ–საწევი მოწყობილობების შემოწმება/შეკეთება	9
18.	სამუხრუჭე მომწყობილობების შემოწმება-შეკეთება	8
19.	სამგზავრო ვაგონების შიდა მოწყობილობების შემოწმება-შეკეთება	5
20.	სამგზავრო ვაგონების ელექტროდანადგარებისა და ელექტრომოწყობილობების შემოწმება-შეკეთება	5
სულ:		**50**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულებით:

ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს 10 კრედიტის ოდენობით; 6 ინტეგრირებულ მოდულს 30 კრედიტის ოდენობით, 8 საერთო პროფესიულ მოდულს 25 კრედიტის ოდენობით, 6 კონცენტრაციის მოდულს 50 კრედიტის ოდენობით

სწავლების ხანგრძლივობაა 24 თვე.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების 24 მუხლით დამტკიცებული გარდამავალი დებულებით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 115 კრედიტი;
- ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 24 თვე
- ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 145 კრედიტი;
- ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 29 თვე

ქართული ენის მოდულები		
მოდულის დასახელება		**კრედიტი**
01 ქართული ენა A2		**15**
02 ქართული ენა B1		**15**
სულ:		**30**
ინტეგრირებული მოდულები		
მოდულის დასახელება		**კრედიტი**
1.	კომუნიკაცია ქართულ ენაზე	8
2.	მათემატიკური წიგნიერება	7
3.	მეცნიერება და ტექნოლოგიები	6
4.	მოქალაქეობა	6
5.	სპორტი	2
6.	ესთეტიკა	1
სულ:		**30**

ზოგადი მოდულები		
მოდულის დასახელება		**კრედიტი**
1.	უცხოური ენა	5
2.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
3.	მეწარმეობა 2	2
სულ:		**10**

საერთო პროფესიული მოდულები		
№	**მოდულის დასახელება**	**კრედიტი**
1.	საინჟინრო გრაფიკა	3
2.	მასალათმცოდნეობის საფუძვლები	3
3.	რკინიგზების ზოგადი კურსი	3
4.	ზოგადი ელექტროტექნიკა	3
5.	სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	6
6.	საზეინკლო ოპერაციების შესრულება	2
7.	გაცნობითი პრაქტიკა - რკინიგზის ოპერირებაში	2
8.	მეტროლოგია	3
სულ:		**25**
სარკინიგზო გადაზიდვები - კონცენტრაციის მოდულები		
მოდულის დასახელება		**კრედიტი**
სარკინიგზო გადამზიდავის სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზება		3
რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის საფუძვლები		4
რკინიგზით ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული ოპერაციები		9
მატარებლის მიღება-გაგზავნის უზრუნველყოფა სადგურში		10
სატვირთო და კომერციული მუშაობის ორგანიზაცია რკინიგზის ტრანსპორტზე		9

საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
სამანევრო მუშაობის ორგანიზება სადგურში		15
სულ:		**50**

პროგრამის განხორციელების დუალური მიდგომის ფარგლებში დარგობრივი მოდულებით მისაღწევი სწავლის შედეგების განაწილების სქემა კოლეჯსა და წარმოებას შორის

სწავლის შედეგის მიღწევის ადგილი	სწავლის შედეგების %-ული შემადგენლობა
კოლეჯში მისაღწევი სწავლის შედეგები	**49 %**
წარმოებაში მისაღწევი სწავლის შედეგები	**51 %**

8. სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. მართოს ინფორმაცია პროფესიის შესახებ;
2. გამოხაზოს დეტალები და სქემები ზომებსა და მასშტაბში;
3. გაიანგარიშოს ელექტრომოწყობილობებისა და დანადგარების ძირითადი პარამეტრები;
4. უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო გარემო სარკინიგზო ტრანსპორტის ობიექტებზე მუშაობისას
5. შეასრულოს საზეინკლო სამუშაოები;
6. შეამოწმოს/შეაკეთოს რეფრიჟერატორული მოძრავი შემადგენლობა;
7. შეამოწმოს/შეაკეთოს სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილები;
8. შეამოწმოს/შეაკეთოს სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილები;
9. შეამოწმოს/შეაკეთოს ვაგონის ძარის და დამრტყმელ–საწევი მოწყობილობები;
10. შეამოწმოს/შეაკეთოს სამუხრუჭე მომწყობილობები;
11. შეამოწმოს/შეაკეთოს სამგზავრო ვაგონების შიდა მოწყობილობები;
12. შეამოწმოს/შეაკეთოს სამგზავრო ვაგონების ელექტროდანადგარები და ელექტრომოწყობილობები.

9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის ,,რკინიგზის ოპერირება“ და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N170/ნ ბრძანების „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის **51%** რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება
კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.
სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური* და *მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა* და *კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა
- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის **51%** რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა. პროფესიულმა სტუდენტმა კვალიფიკაციის მინიჭებისთვის მონაწილეობა უნდა მიიღოს შუალედურ შეფასებაში და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს საქართველოს რკინიგზის ბაზაზე.

დანართები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი);
- ადაპტირებული მოდულები;
- სასწავლო გეგმები (ქართული ენის მოდულებით და მის გარეშე);
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი;
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი;
- პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- პროგრამის ბიუჯეტი.

პროგრამის ხელმძღვანელი: ნათია სვანიძე

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შოთა მარგიშვილი

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორი მანანა მოისწრაფიშვილი